სცემა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

თითო ნომერი 3 კაპეიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363

დამდეგი 1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა

გაზეთ „ცნობის ფურცელზე"

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ვინც ამ თავითვე გამოიწერს ერთის წლით, იმას ერთი თვე მუქთად დაეთმობა გაზეთი

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს

ბენეფისი

ქ-ნ ჩერქეზიშვილისა

ქართულ დრამატ. საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

I

რას ვეძებდი და რა ვპოვე

კომედია 3 მოქმ. თხზ. კნ. ბარ. ჯორჯაძისა.

II

გლახა ჭრიაშვილი

სცენები, თხზ. თ. ილია ჭავჭავაძისა.

მოთამაშენი: ქ-ნ ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ვაშაკიძე; ბ. ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, კანდელაკი, გედევანოვი, შათირიშვილი და სხვ.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი: ვ. აბაშიძე და კ. მესხი

ამ მოკლე ხანში იქნება ბენეფისი ვ. აბაშიძისა.

Готовлю

въ землемѣрное и техническое училище, въ учит. институтъ и на вольноопредѣляющагося. Подъ Давидомъ (მთაწმინდა), 2-я Овражская, № 2. Грязновъ

(4—1)

სახალხო თეატრში (ავჭ. ქ.) რეპეტიციის დროს

დამეკარგა

ხელ-ნაწერი ვოდევილი ქ. ელ. ჩერქეზიშვილისა

სამოციწლისაშიყი

რომელიც გამოსაცემათ მქონდა მომზადებული. მპოვნელთ ვსთხოვ წარმომიდგინონ წიგნთ საცავში, გიორგ. ქ., ალექ. ბაღის პირდაპირ, № 12. მპოვნელი მიიღებს საჩუქარს.

წიგნების გამომცემი ი. იმედაშვილი

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ა. მერაბი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-г ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ებოძათ ორდენები მეორე ხარისხის წმ. ანნასი ყაზახის მაზრის უფროსს ყანჩაველს; მესამე ხარისხის წმ. ანნასი—ტფილისის საგუბერნიო ექიმს ქიქოძეს და სენაკის პოლიციის ბოქაულს თავ. აბაშიძეს; მეორე ხარისხის წმ. სტანისლავისა—ზუგდიდის პოლიციის ბოქაულს დგებუაძეს; მესამე ხარისხის წმ. სტანისლავისა—სენაკის მომრიგებელ მოსამართლეს თავ. ერისთავს და ფოსტა-ტელეგრაფის ქარუმიძეს.

# ახალი ამბავი

*** წმ. ანდრია პირველ წოდებული ძმობის შესახებ. ტფილისის სას. სემინარიასთან თითქმის თექვსმეტი წელიწადია რაც არსებობს წმ. ანდრია პირველ წოდებულის ძმობა, რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს ამ სემინარიის ღარიბ მოწაფეებს. უკანასკნელ წლებში ძმობას არსებობის სალსარი გამოელია, — რაის გამო სემინარიის ბევრს მოწაფეს მოაკლდება მისი შემწეობა და ამით იძულებული გახდება სწავლას თავი დაანებოს. მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, საქართველოს ექსარხოსმა, ყურადღება მიაქცია ძმობის ასეთს არასანატრელს მდგომარეობას და შესწირა მის სასარგებლოდ 100 მანეთი,—მისვე სასარგებლოდ შესწირეს ბერძენთა არხიმანდრიტმა კირილემ—50 მან. ვ. ლ. ველიჩკომ—50 მან: დეკ. პ. კონჭოშვილმა—5 მან, ე. ი. ხელაძემ—3 მან და სხ...

დღეს, 9 დეკემბერს საღამოს ექვსს საათზედ არის დანიშნული ძმობის წევრთა და თანამგრძნობელთა კრება სასულიერო სემინარიის შენობაში, თვით ამ ძმობის თავმჯდომარის რექტორის არხიმანდრიტის ჰერმოგენის ბინაზედ. კრებას დაესწრება თვით ექსარხოსი საქართველოსი ფლაბიანე, ამის გამო მამა რექტორი სემინარიისა ამ კრებაზედ დღეს მოიწვევს ყველას, ვინც კი სულით და გულით თანაუგრძნობს ძმობის კეთილ-შობილურს მიზანს, ვისთვისაც ძვირფასია არსებითი ინტერესები სასულიერო განათლებისა... თანამგრძნობელს შეუძლია შეწირულებაც გამოგზავნოს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი ექსარხოსის ანარა და სემინარიის სამმართველოს სახელობაზე. ტფილისის სემინარიაში სწავლობს ორასზე მეტი ქართველი მოწაფე, და ამიტომ ქართველი საზოგადოება ზნეობით ვალდებულია შემწეობის და დახმარების ხელი გაუწოდოს ამ მოწაფეებს ძმობის სასარგებლოდ თვისის წვლილის შეწირვით ჩვენ გვრწამს, რომ ქართველთა შორის ბლომად მოიპოვება ისეთი პირები, რომელნიც სასულიერო განათლებას თანაუგრძნობენ და აი ამ პირთაგან ძმობის საბჭო მოელის დახმარებას ძმობის სასარგებლოდ...

*** ხელმწიფა იმპერატრიცას მგზავრობა. 7 დეკემბერს, საღამოს $6^1/_2$ საათ. ბორჯომში მობრძანდა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობა ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული დიდი მთავრით ოლგა ალექსანდრეს ასულითურთ. მის უდიდებულესობას თან ახლდნენ თავ. ბარიათინსკი, სეფე-ქალნი კუტუზოვისანი და სხვა მხლებელნი; ტფილისის გუბერნატორი დ. ს. ს. ბიკოვი, ტფი-

ლისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი ბ. ლინდენი, კავკასიის გზათა უწყების ოლქის უფროსი ინჟ. ფლორინი და სხ. ლიკანში მის უდიდებულესობას მიეგება დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე. ბორჯომი საუცხოვოდ იყო გაჩირაღდნებული. მის გარშემო მთების წვეროებზე ანთებული იყო ცეცხლები. ბორჯომის ვოკზალი ლამაზად იყო მორთული ბაირაღებით და ფოთლებით, გაჩირაღდნებული ათასფეროვან ცეცხლებით. საღამოს 7 საათზე იმპერატრიცას მატარებელი დაიძრა ხაშურისაკენ. მატარებელში გაიმართა სადილი.

ხაშურიდან ხელმწიფე იმპერატრიცა გაემგზავრა ბათომს, სადაც მას გაჰყვნენ დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე და უმაღლესი სასახლის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე. ხაშურის სადგურზე მის იმპერატორებით უდიდებულესობას წარუდგა კავალერიის გენერალი თავ. ი. გ. ამილახვარი. ამავე სადგურზე გამოეთხოვა იმპერატრიცას ტფილისის გუბერნატორი ბიკოვი.

*** **გამგეობის ახალი წევრნი.** გუშინ ქალაქის საბჭომ ქალაქის გამგეობის წევრებად აირჩია თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი (35 თ. და 12 შ.) და ხმოსანი მ. ს. შესტაკოვი (27 თ. 20 შ.)

ამათთან ერთად ყუთი დაიდგეს: პ. მ. იაკიმოვმა, ს. ზ. მირზოევმა და თ. პორფიროვმა, მაგრამ ყველანი გაშავკენჭებულნი იქმნენ. ბ. პორფიროვს ერთი თეთრი კენჭიც არ ამოსვლია.

*** **კავკასიის ჯარის პოლკოვნიკი** თავ. გ, ი. ორბელიანი, რომელიც ამას წინად შავი ჭირის საწინაღმდეგო კომისიის თავმჯდომარესთან ერთად თურქესტანში გაემგზავრა, გაგზავნილ იქმნა იქიდან რუსეთის სამხრეთ გუბერნიებში, სადაც მან ადგილობრივ მთავრობას შავი ჭირის საწინააღმდეგო ზომები უნდა გააცნოს.

*** **ქალის დაშავება.** 5 დეკემბერს საღამოს 9 საათზე ამიერკავკასიის რკინის გზის მოძრაობის კანტორის გამგე ქალი ა. ყიფიანი მატარებლის ვაგონიდან გამოსვლის დროს ჩავარდა ვაგონის ქვეშ და მოიწყვიტა მარჯვენა ფეხის თითები.

*** **სომეხთა პატრიარქი მკრტიჩ** I, გუშინ დილის 10 საათზე, ტფილისში მოვიდა.

*** **საჩივარი მომრიგებელ შუამავალზე.** სოფ. შორაპნიდან, „ნოვ. ობ.“-ს ატყობინებენ, რომ შორაპნის მაზრის 1-ლი განყოფილების მომრიგებელ შუამავალზე საჩივარი შეუტანიათ მის-მიერ სამსახურში უწესო საქციელის ჩადენ ის გამო.

*** **ქალის შეპყრობა.** ტფილისის პოლიციამ შეიპყრო ბათომის მცხოვრები ქალი ვიღაც ლ. გ., რომელიც დროებით ცხოვრობდა ტფილისში, მუხრანსკის ნომრებში. ეს ქალი იცნეს იმ ფრანგი ქალის (ფონჩულინის) გამძარცველად, რომელიც ამას წინად ძირულის სადგურზე ნახეს ლიანდაგზე უგრძნობლად დაგდებული. ლ. გ—ს უნახეს ჩანთა 3000 მანეთით, გაგზავნეს ყვირილაში პროკურორის ამხანაგთან.

*** **თავმჯდომარის ამორჩევა ბათომის საბჭოში.** 2 დეკემბერს მოხდა ბათომში ქალაქის ახალი საბჭოს პირველი სხდომა, რომელსაც დაესწრო 36 კაცი (41 ხმოსნიდან) ამ სხდომაზე არჩეულ იქმნა საბჭოს თავმჯდომარედ (იმ შემთხვევისათვის), რომლებიც ნაჩვენებია ქალაქის დებულების 120 მუხლში), ბ. სევერიანი (32 ხმის უმეტ. 5 წინააღმ.)

*** **ქ. ზუგდიდი.** საკვდავი სამთვრალისაგან. 22 ნოემბერს მღვ. მელიტონ კეიდიას ქონდა ნათლობა. ჩვეულებისდა-გვარად გამართა მშვენიერი სადილი, რომელზედაც სხვათა შორის, მიიწვიეს აქაურივე მევაჭრე ლ. წ—ლიძე. როგორათაც სხვა წვეულებმა მოხსენებულ წ—ძემაც მოილხინა და ღვინო თუ სხვა სასმელები ბლომათ დალია. ღვინომ თავისი ჰქნა და მალე უგრძნობოდ მთვრალს გულს შემოეყარა მისდა საუბედუროდ, ღვინო ცხვირში წამოუვიდა შეეხუთა სული და საცოდავმა საუკუნოდ განუტევა სული. ექიმი თუმცა მალე მიიწვიეს, მაგრამ გვიანდა შეიქნა. დარჩა განსვენებულ მოულოდნელად წვრილი ცოლშვილი დაობლებულ-დაქვრივებული.

— **უბედურება ცეცხლისაგან და დედის სიმხნევე.** ამავე თვის 26 ღამით ზუგდიდის მახლობელ მცხოვრები გლეხი ლ. შონიას გაუჩნდა ცეცხლი და დაეწვა ერთი სამთვალიანი თლა ყავრით დახურული, მეორე სამზარეულო, სადაც თვითონ იწვა თავის ოთხი შვილებითა და ცოლით და ერთიც სიმიდით სავსე სასიმინდე თუმცა შინობები ყველა დაეწვა, მაგრამ მოხსენებული შონიას ცოლის სიმარჯვე-გამბედაობით ნივთები ბევრი არა დაწვია-რა, აგრეთვე პირუტყვნი და ბავშვები გადაარჩინა შიშისაგან გაცხარებულ დედამ. როგორც სჩანს ცეცხლი მათივე მიზეზით და გაუფრთხილებლობით გაჩენია იმავე სახლს, რომელშიაც მთელს ოჯახსტკბილათ ეძინა. მძინარე ოჯახობას მანამ არ გაუგია თავისი უბედურება, სანამ პირდაპირ ცხვირსპირში ცეცხლის სინათლეს არ ჩაუნათია. საბრალო დედას გაღვიძებია თუ არა, უხვედრია აკვნის ბავშვი და საჩქაროთ მინდორში გაუყვანია, დაბრუნებულს ორიც ერთადგაუყვანია და უკანასკნელ მეოთხე ბავშვის გასაყვანად რა შემობრუნებულა, მის მიერ უკვე გაყვანილი ბავშვი ხელახლავ შემოსულა და ლოგინში შემალულა შიშისაგან. დედას არ გამოპარვია უბედურება და მოუკრავს თვალი თუ არა ბავშვი ხელახლად მინდორში გაუყვანია. სანამ ბავშვებს უშიშარ ადგილებში არ დაალაგებდა დედას ვერ მოუცლია, რომ ეკივლა და მძინარე მეზობლებისათვინ თავის უბედურება გაეგებია. ბოლოს თუმცა მეზობლებმაც გაიგეს და მიეშველენ მაგრამ წყალის უქონლობისა გამო ვერას გახდნენ და ცეცხლმა იმსხვერპლა მეორე სახლი და სასიმინდეც. ამ გვარად დარჩა ხელცარიელი საბრალო შონია, გულკეთილ მეზობლებმა ნახა რა საცოდავი მდგომარეობა თავიანთ ამხანაგ-მეზობლისა გულ-ღიათ თანაუგრძნეს მას და თითქმის ჯერ კიდევ ცეცხლი სრულიად ჩაქრობილი (?) ბული არ იყო იქვე შეძლების-დაგვარად თითო-ოროლი მანეთი შეეწიეს და თუ სრულიად არა ცოტათი მაინც ხელი გაუმართეს. აწიც ხო იმედი აქვს შონიას არ დარჩება მის კეთილთ მიერ უყურადღებოთ.

კოლონა

**თელავი** ღვინის ჩარჩები. თელავში შემოდგომობით ბევრი ჩარჩები მოდიან ხოლმე ღვინის სასყიდლად, მაგრამ წელს უფრო ბევრნი მოვიდნენ; ყველას გაუგონია, რომ კახეთში ცოტა-თუ ბევრი ღვინის მოსავალი მოვიდა, გლეხ-კაცებს ფული უჭირთ და ნახევარ ფასად იყიდებაო და ამისთვის ყველა ქალაქიდამ მოვიდნენ სირაჯები, რომ ისარგებლონ ამ მარჯვე შემთხვევით. სირაჯები ზოგნი თელაველები არიან, მაგრამ სხვაგან აქვთ ვაჭრობა და ზოგნიც გარეშე პირნი. მოვიდნენ და თელაველ ღვინის ამომღებლებთან დადიან სოფელ-სოფელ ჰსინჯავენ ღვინოს და იგდებენ ხელში ნახევარ ფასად. რაღა რჩება საწყალ გლეხ-კაცს, ჯერ დაწურვაშივე ნათხალი მისცა მოსაწამლი. რადგანაც დაწურვაზე ჩამოვარდა ლაპარაკი ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვა ვთქვათ ვენახების მოწამლაზე თუმცა გვიან არის მაგრამ რუსული ანდაზაა «Лучше поздно чѣмъ никогда».

გაზაფხულდა, და ვაზმა კვირტი გამოიტანა თუ არა თელაველი და სოფლელი ვაჭრებიც დაფაცურდნენ, იყიდეს აპარატები, შაბიამანი, გოგირდი და მოი[illegible]დეს წინდაწინვე საქმე. მერე დაიწყეს სოფელ-სოფელ სიარული და იღებდნენ ვენახებს შესაწამლავად სასამედოდ და სანაოთხლოთ. ერთმა თელაველმა სომეხმა გაზაფხულზე ერთი ურემი შაბიამანი და რამდენიმე აპარატი იყიდა და როცა მიჰქონდა იმ დროს იქ შევესწარ და ვკითხე: „რად გინდა ამდენი წამალი და შაბ-იამანი რომ მიგაქვთ?“ ამ კითხვაზედ იმას გაეცინა და მიპასუხა: როგორ თუ რად მინდა, განა ეს მეყოფა! კურდღელაურიდამ უნდა მოვყვე და შაქრიანამდის გავიდე“. კარგად რომ სწამლობდნენ კიდევ არაფერი, ჯერ იაფ-ფასიან შაბ-იამანს ხმარობენ, კირს მომეტებულს ურევენ ისე, რომ როცა ვაზს სწამლობენ თეთრი ფერი დაჰკრავს ლურჯის მაგიერად, და მერე კიდევ კარგად ვერ სწამლავენ ზოგ[illegible]ლიან ვაზს ცალ მხარეზე და მეორე მხარე-კი მოუწამლავი რჩება, რა არის ცოტა წამალი მოუნდეს და ბევრის მოწამვლა მოვასწროთ. რასაკვირველია ასეთი მოწამლული ვენახი არც რქას გაიკეთებს კარგს და სამამულედაც არ ივარგებს. აი ერთი მაგალითიც: სოფ. შაშიანის მცხოვრებელმა ალ. ბიწკანაშვილმა მოაწამლინა სანათხლოდ თავისი ვენახი სიღნაღელ სომეხს. პირველადვე უწამლა თუ არა მაშინვე ყვავილი გასცვივდა და მერე ფოთოლიც ზედ მიჰყვა. მაისში ეს ვენახი რომ გენახათ გაჰკვირდებოდით, თქვენ იანვარი გეგონებოდათ ამ ვენახისთვის ისე იყო ვაზები გატიალებული. რასაკვირველია ამისთანა მაგალითი სხვა სოფლებშიაც ბევრი იქნება. წელს საპალნე ღვინო იყიდება 40—60 მანეთად. საპალნე წინად 30 ჩაფი იყო, მაგრამ ეს ხუთიოდე წელიწადია რაც 32 ჩაფით მიაქვთ. სირაჯმა რომ ერთი საპალნე ღვინო იყიდოს, უეჭველად 1 ჩაფი ქაშნიკი უნდა წაიღოს და თუ ბევრი იყიდა, რასაკვირველია, მაშინ სხვა იქნება. ერთი სიტყვით, იმდენ ღვინოს ყიდულობენ წელს, რომ ბოჭკები არც-კი აქვთ წასაღებად და ამისთვის ბოჭკების ფასმა აიწია. წელს ენკენისთვეში თითო ბოჭკა იყიდებოდა ხოლმე 8 მანეთად ახლა-კი 15 მანეთადაც შოვნა არ არის.

—ლი.

*** **ხაშური** ვაჭრების თავგასულობა. ერთი აქაური ვაჭარი არა ერთხელ და ორჯელ არის შემჩნეული ბ. ბოქაულისაგან [illegible] და დამპალის ხილის ვაჭრობაში და მიუხედავად ამისა არ იშლის თავის თავგასულობას, პირიქით როც გადის თავს. ხილს ყიდ[illegible]

...ობს, მუშას ქირაობს მისატანათ და მისატან ფულს კი აღარ აძლევს, უხდის საწყალ გლეხ-კაცებს საქმეს სადავიდარაბოთ. აბანდებს გზაზედ მდგომს გლეხს და სხ... საზოგადოდ—კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს ხაშურში უმეტესი ნაწილი ვაჭრებისა უფროაღვირ-აშვებულია, თუმცა მათ ბ. პოქაული და მასთან მამასახლისიც სასტიკად ადევნებენ თვალ-ყურს მაგრამ მაინც ვერას ხდებიან მათთან. აქ ხაშურში, ერთი ბოქაული და მამასახლისი კი არა, 5 ბოქაული და 10 მამასახლისი რომ დანიშნონ, მაინც საეჭვოა, რომ ზოგი ერთა ვაჭრების თავგასულობა და გაიძვერობა აილაგმოს.

ხანაველი

## თეატრის მატიანე

### ქართული თეატრი

«პირველი ბუზი», კომედია 3 მოქმედებად, თხზ. ვ. ველიჩკოსი, თარგმნილი ვ. გუნიას მიერ. «გამარჯვებულებს არა სჯიან», კომედია 1 მოქმედებად, თარგ. ანნა მესხისა.

„პირველი ბუზი“ ლამაზი, კოხტა პიესაა, სასიამოვნო სანახავია, თუ მკვირცხლად „გაითამაშეს“. ამისთანა ნაწარმოებს რუსები ეძახიან „კალმის ცუღლუტობას“. პიესაში პატარა აზრიც არის: თუ ქალს უნდა, რომ მალე გათხოვდეს უნდა ბევრი საქმროები გაიჩინოს, კონკურენციის ძალით იგი ადვილად გათხოვდება. დიახ, აი ეს არის თავი და ბოლო პიესისა. გამაძღარი ნაწილი საზოგადოებისა, რასაკვირველია, გაიგებს ამ აზრს, ხოლო ხალხისთვის ეს გაუგებარია: ხალხის აზრით ქალი სნეული თუარაა, უეჭველად გათხოვდება. რათა? მათა, რომ ქალის შეყვანით ოჯახში, უკანასკნელს ერთი საქმიანი ხელი ემატება. ქალის გათხოვება გაძნელდა საზოგადოების უსაქმურ ნაწილში. კეთილ-შობილთა და ინტელიგენტ წრეებში მართლაც ქალი გადაქცეულა ისეთს ბარგად, რომლის აკიდებას ყველა ერიდება. აქედამ იბადება თინბაზობა და ვირ-ეშმაკობა ქალების მხრივ, რათა გათხოვდნენ. ამ ცხოვრებიდან არის ამოწვნეული შინაარსი „პირველის ბუზისა“. „კალმის ცუღლუტობას“ არ შეიძლება კაცი კვალში ჩაუდგეს და მოსთხოვოს სერიოზული სამსახური საზოგადოებისა, თორემ ვიკითხავდით: რა არის მორალი „პირველის ბუზისა“?—იცრუოს ქალმა და ისე გათხოვდეს? ვერაფერი მოწოდება, ვერაფერი ზნეობრივი დარიგება-

საწყალ გასათხოვარ ქალებს ჩვენ სულ სხვანაირ დარიგებას მივცემთ. ჩვენ ვეტყვით: დაანებონ თავი „პირველ ბუზსაც“ და საზოგადოთ „ბუზებს“ და დაიწყონ ზრუნვა საქმეზედ. კვლავ მივუთითებთ მათ გლეხთა ცხოვრებას იდეალად. იქ, იმ ცხოვრებაში ქალი არა ფიქრობს იმაზედ, რომ ვაი თუ ვერ გავთხოვდეო. რატომ? მიტომ, რომ ისიც მამაკაცივით ეკონომიური ძალაა, ფრიად საჭირო ყოველის ოჯახისთვის. მას არ უნდა არც ქრთამი, არც მზეთუნახავობა. ის საჭიროა ამა ქვეყნად და საჭირო ნივთს ყველა ეტანება. აბა ასე მოაწყონ ცხოვრება ჩვენმა კეთილშობილმა და ინტელიგენტ ქალებმაც, თუ ისინიც არ დათხოვდებოდნენ.

ცხოვრება, ჩემო კარგებო, გაჭირდა. ერთს კაცს აღარ ძალ-უძს ათისა და თორმეტის კვება,—აი სათავე იმისი, რომ კაცები ცოლს აღარ ირთვენ. გონებაბრმანი კი ამის მიზეზს ეთიკაში, სარწმუნოებაში და ვინ იცის კიდევ სად არ ეძებენ. თვით ეთიკა, თვით სარწმუნოება აღმოცენებულნი არიან ასეთსა თუ ისეთს ეკონომიურ განწყობილებაზედ და ცვალებადნი არიან იმდენად, რამდენად იცვლებიან ეკონომიურნი პირობანი კაცთა ცხოვრებისა. გარნა წინ მიუძღვის ყველაფერს, ანუ საფუძვლად უდევს პირობები ეკონომიურის თვისებისა.

იქნება არაფერში ისე ცხადად არა სჩანს ეს დამოკიდებულება, ეს სიმძაფრე ეკონომიურის პირობებისა, როგორც ქალთა საქმეში. ჩვენში ასეა, თუ კაცი ნასწავლია, მით მეტი შნო და უნარი აქვს ცხოვრებისა. ქალს კი არა. ნასწავლი ქალი ყოვლად უძლური ხდება თავისუფალ ცხოვრებისთვის. აღარ შეუძლიან „შავი“ საქმე, არ „შეუძლიან“ ინტელიგენტური შრომაც. დარჩა მჩვარი, რომელიც დღე და ღამ უნდა ფიქრობდეს „პირველ ბუზზედ“.

სამწუხაროა, ძრიელ სამწუხაროა!

ვოდევილი „გამარჯვებულებს არა სჯიან“ სრულიად არ შეეფერებოდა ქართულს ცხოვრებას. ტიპი მუდამ უწმაწურობის მოლაპარაკე ზღვის აფიცრისა სრულიად უცნაურია ქართველის საზოგადოებისთვის და თუ ვოდევილმა მაინც მხიარულად ჩაიარა, ეს იმიტომ, რომ კ. მესხმა და ეფ. მესხმა ჩვეულებრივ ხელოვნურად ითამაშეს.

მეგახლავარ

—

**ქ. ბათუმი.** ქართული წარმოდგენა. კვირას. 26 ნოემბერს, ნატალია გაბუნია-ცაგარლისა მიერ ქართული სცენის მოყვარეთა მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნა „ბაიყუში“ კომედია 2 მოქმედებად ა. ცაგარლისა, და „ბიძიასთან გამოხუმრება“, ერთი მოქმედებიანი, ვოდევილი თავ. რაფ. ერისთავისა.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო ქართველობა ბევრი, სომხობა დარუსებიც იყვნენ, ერთი სიტყვით თეატრი გაჭედილი იყო. წარმოდგენა ღარიბი ქართული სტუდენტების სასარგებლოდ იყო გამართული და წმინდა შემოსავალი 325 მანეთს აღემატება, და ამას უნდა უმადლოდეთ პატივცემულს ჩვენს არტისტ ქალს გაბუნია-ცაგარლისას, რომელმაც ითავა და გამართა ქართული წარმოდგენა ბათომში. საზოგადოება აღტაცებული იყო ნატალია გაბუნია-ცაგარლის ხილვით და როლების დაკვირვებული ასრულებით ვაშის ძახილი და ტაშის კვრას საზღვარი არა ჰქონდა.

აგრეთვე ქ-ნნი ანნა სოლოგოვის ასული თალიკოს როლს ძალიან კარგათ ასრულებდა, ეტყობა, რომ მას შესაფერი არტისტული ნიჭი აქვს, და სახელსაც მოიხვეჭავს. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა მოთამაშეებს შესაფერად ჰქონდა შეთვისებული ხასიათი და თვისება იმ პირს, რომელსაც არდგენდნენ სცენაზე. საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა და ტაშის ცემით დააჯილდოვეს მოთამაშენი.

კარგი იქნება ბათომში თვეში ორჯერ მაინც ქართული წარმოდგენები გაიმართოს, მით უფრო, რომ ქართველობა სიხარულით დადის თეატრში

ყარამან

## წმ. დიდი მოწამე ქეთევან, კახეთის დედოფალი *)

(საისტორიო ცნობა)

«მოწყლულმან სურვილითა საღმრთოითა წყლულებანი მრავალნი თავს ისხენ და ტანჯვათა ფერადობანი ახოვნად დაითმინენ, ვინაცა წარმავალისა დედოფლობისა წილ სუფევაჲ ზეცისა დაიმკვიდრე, სამგზის სანატრელო ქეთევან, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის».

(ოხითა დიდი მოწამის ქეთევანისა).

მთელს კახეთს შეგვიძლია ვუწოდოთ „მხარე მოწამეებისა“. ვინ იცის, რამდენი კახელი ემსხვერპლა თვისს მშობელს მართლ-მადიდებელ ეკკლესიას, რამდენმა დასთხია სისხლი ქართველთა სიქადულის მართლმადიდებლობისთვის?!—მატიანე არ გადმოგვცემს ჩვენ სახელებს ყველა იმ წმიდა გმირებისას, რომელთაც თვისი სისხლი დაჰღვარეს ქრისტეს სწავლისთვის კახეთში!!... მაგრამ ვიცით კი, რომ ძველი კახელები მოწამეებია,—მთელი ძველი კახეთი „მოწამეთა მხარეა“... მისს ომში სახელ გათქმულ შვილებს თვისი გულ-მკერდი უნდა პირველად მიეშვირათ მტრის ისრისთვის,—როცა კი მტერი საქართველოსკენ გამოემგზავრებოდა... ბევრი ტანჯვა-წვალება, აოხრება, განადგურება, ცარცვა-გლეჯა, ცრემლი, სისხლი და სიკვდილი უნახავს კახეთს თვისს მრავალ-ხნოვანს სიცოცხლეში... ბევრჯერ უკუღმა დატრიალებულა მისი ცხოვრების ჩარხი, შეჩერებულა მისი მაჯის ცემა, მაგრამ საღმრთო მადლს, წმ. ნინოს მეოხებას, ის ზე-აღუდგენია, წარმატების და წინსვლის გზას დაუყენებია, სიმხნის და სასოების სული ღონე-მიხდილისთვის მოუბერია...

ვის შეუძლია აღწეროს კალმით, ვის შეუძლია დაწვრილებით გვიამბოს სიმხეცე და მძვინვარება სპარსეთის მეფის შაჰ-აბას პირველისა, რომელმან მთელი ქართლი და კახეთი მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში სისხლის კალოთ გადააქცია, იმ ბოროტი შაჰ-აბაზისა, რომელმაც საქართველო მკვდართა აკლდამად გახადა?! ჩვენ ვგონებთ, რომ კაცის სუსტს ენას არ შეუძლია გამოსთქვას შაჰაბაზის სივერაგე, მისი სიავ-კაცე, მისი სიბოროტე... გამეფებისათანავე შაჰ-აბასმა განიძრახა და გადაწყვიტა საქართველოს ხალხი ან გაეწყვიტა და ან მისთვის მაჰმადიანობა მიეღებინებია... ის მით უფრო დაემტერა ქართველს ხალხს, რომ მან რუსეთისკენ და ევროპისკენ ცქერა დაიწყო, აზიას თვალს არიდებდა, რუსეთს შეეკავშირა და უსჯულო სპარსეთთან გასწყვიტა კავშირი... ის ორჯერ შემოესია საქართველოს აუარებელის ჯარით, დაჰხოცა მრავალი ქართველი შეუბრალებლად, დაანგრია მრავალი ტაძარ-მონასტერი, ბევრი ქართველი სპარსეთს გადაასახლა და მათ მაგივრად საქართველოში მაჰმადიანები დაასახლა, შეასუსტა ხალხი, ცხოვრების სახსარი, სიცოცხლის ძალა წაართვა... იმედ მიხდილი ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა, თავ-ჩაქინდრული, დამძარებული თითქმის შავ-ბედის წინაშე ქედის მოხრას აპირებდა, ცოტაღა აკლდა ხალხისაგან ქრისტიანობის უარყოფას, რომ ხალხის გამამხნევებლად, მისთვის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად მეჩვიდმეტე საუკუნის პირველს მეოთხედში ტანჯვა-ურვათა, სისხლ-ცრემლთა შორის გამოჩნდა ორი გვამი, ორივ გვირგვინოსანი, ორივე მეფე: ლუარსაბი, მეფე ქართლისა და ქეთევანი, დედოფალი კახეთისა... ჩვენ დღეს უმთავრესად გვიხდით საეკკლესიო საუბრის საგნად წმ. დიდი მოწამის ქეთევანა კახთა დედოფლის ცხოვრებას. წმ. ქეთევან, დედოფალი კახეთისა, ქართლის სოფელ მუხრანიდამ იყო. ის იყო ასული აშოთან ბაგრატოვანისა, მუხრანის ბატონისა. აშოთან ბაგრატოვანი შვილი-შვილი იყო კო-

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 698.

ნსტანტინე ქართველთა მეფისა. წმ. ქეთევანმა მშობლების ოჯახშივე მიიღო სარწმუნოება-ზნეობრივი განათლება. მან საფუძვლიანად შეისწავლა სარწმუნოების სჯულდებანი, საღმრთო წერილი და შეიქმნა მოტრფიალე სათნოებისა, კეთილ-მოქმედებისა. ის იყო ქალწულებაშივე „მორცხვი, ბრძენი, კეთილ-გონიერი, ნარნარი და მხნე კეთილმოქმედებათადმი"...

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

— პეტერბურგიდგან მოსკოვამდე ხომ ექვსასი ვერსია?

— ხო... მაგრამ, მოსკოვიდგან პეტერბურგამდე?

— აბდალი! რასაკვირველია იმდენივე იქნება—ექვსასი ვერსი.

— საუცხოვოა...

— რა არის აქ საუცხოვო?

— როგორ თუ რა? აი შობიდან აღდგომამდე თხუთმეტი კვირა იყო, და აღდგომიდან შობამდე, სულ რომ ცოტა ვთქვათ ორმოცი...

## რედაქციისაგან

**სამტრედიაში** ესტ. სტ—ას. თქვენი საყვედური სრულებით უსამართლოა. ჩვენთვის სულ ერთია ვინა გვწერს ამბავს დიდი თუ პატარა კაცი, ოღონდ მართალი იყოს და იმავ დროს დასაბეჭდად მოსახერხებელი მოგვწერეთ ხოლმე სხვა და სხვა ადგილობრივი საჭირ-ბოროტო ამბები და ჩვენ სიხარულით დავბეჭდავთ მათ.

**სურამში** ჩ—ს. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება, რადგან, როგორც საზოგადო აგრეთვე ადგილობრივ ინტერესსაც მოკლებულია.

**სამტრედიაში** პ—იას. თქვენი საპასუხო წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია.

**დარჩელში** იუსტ. ვოდ—იას. თქვენი წერილის შინაარსის გამოქვეყნება საჭიროდ არ მიგვაჩნია, რადგან ბოროტმოქმედება უკვე ღირსეულად დასჯილა.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 დეკემბერი

**პეტერბურგი.** კავალერიის გენერალს თავად ჭავჭავაძეს ებოძა გენერალ-ადიუტანტობა.

საერო სამინისტროს გამგე ბოგოლეპოვი დანიშნულ იქმნა საერო განათლების მინისტრად.

**ქუშკა.** მერვიდან მოვიდა პირველი მატარებელი, რომელმაც მოიყვანა ოლქის უფროსი, გზის მკეთებელი და საპატიო სტუმრები.

**კიევი.** პეჩორის ლავრის მონასტრის ეკლესია გაძარცვეს; ღვთის-მშობლის ხატს ძვირფასი შექედილობა ჩამოცლილი აქვს; ფულის ყუთი გატეხილია. მოტაცებული ფული და ნივთები 10,000 მანეთამდე იქნება.

**სტამბოლი.** დიდის მღელვარების გამოვლის შემდეგ შავ ზღვაზე, გემი „პრუტი", რომელზედაც ბრძანდებოდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე, შუაღამისას ბოსფორში მოვიდა. დილის $9^1/_2$ საათზე ხონთქრის წარმომადგენელი მარშალი შაქირი, დივიზიის გენერალი ახმედ-ფაშა და პოლკოვნიკი თევფიკი ბუიუკ-დერეში მივიდნენ მისის უმაღლესობის მისასალმებლად, რის შემდეგაც დოლმა-ბახჩეში წავიდნენ. შუაღამისას ილდიზ-კიოსკში სტუმრის მიღება იყო.

6 დეკემბერი.

**პარიზი.** პალატა. სოციალისტი ვივიანი შეეკითხა პალატას ნარბონნაში არჩევანების დროს მომხდარ უწესოებათა გამო, რომელნიც გამოაშკარავა პარლამენტის მიერ მოხდენილმა გამოძიებამ. ვივიანი ძლიერა ჰკიცხავს იმ საშუალებათ, რომელთაც მიჰმართეს მელინმა და ბარტუმ და ამ საშუალებით „საყალ-მაყალოს" ეძახის. (ხმაურობაა). ბარტუ და შემდეგ მელინი უარსა ჰყოფენ ვივიანის სიტყვებს და ამბობენ, ჩვენ ყველა მოხელეს ვუბძანეთ, რომ სრულიად პირუთვნელად მოქცეულიყვნენო. (სხვა და სხვა მხრიდან ლაპარაკს აწყვეტინებენ; მემარცხენენი წინააღმდეგობას აცხადებენ). დიუპუიმ შეიწყნარა შემდეგი ფორმულა კლოტცისა: „პალატა ჰკიცხავს რა ოფიციალურ კანდიდატურებს, იმედოვნებს, რომ მთავრობა მხნედ დაიცავს საერთო არჩევანების თავისუფლებას, შეუდგება სხვა საქმეთა გარჩევას. ცენტრი თხოულობს, პირდაპირ შეუდგეთ საქმესაო. დიუპუიმ უარჰყო ცენტრის წინადადება (ტაშის ცემაა). პალატამაც 330 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 177 უარჰყო იგივე წინადადება ცენტრისა (დიდი აღელვებაა. ხმები: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!") პერრიე თხოულობს, კლოტცის ფორმულას შემდეგი სიტყვები მიუმატოთო: „როგორ პოლიტიკასაც უნდა ადგეს მთავრობა". დიუპუიმ ეს დამატებაც შეიწყნარა და სთქვა: „ეს დადგენილება პოლიტიკური კი არა, ზნეობრივია". (წინააღმდეგობა მარჯვენა მხარეს, ტაშის ცემა მარცხენა მხარეს; ხმები: „შორს ჩვენგან მელინი! გაუმარჯოს რესპუბლიკას".) მთელი ფორმულა შეწყნარებულ იქმნა 335 ხმით.

დიუპუის მიერ კლოტცის ფორმულის მიღების გამო, მინისტრმა კრანცმა და მინისტრის ამხანაგმა ლეგრანმა სამსახურიდან გასვლა დააპირეს, მაგრამ დიუპუისთან მოლაპარაკების შემდეგ ისევ დარჩნენ.

**სტამბოლი.** შუადღისას გემი „პრუტი" გაჩერდა დოლმა-ბახჩესთან. გარეშე საქმეთა მინისტრი თევფიქ-ფაშა, ელჩი, ცერემონიმეისტერი იბრაჰიმი და რუსეთის სამხედრო აგენტი პეშკოვი წავიდნენ გემზე დიდის მთავრის მისაგებებლად. დოლმა-ბახჩესთან რომ ნაპირზე გადმობრძანდა დიდი მთავარი, სამხედრო წესით პატივისცეს. ნაშუადღევის პირველ საათზე დიდი მთავარი, ამალა და საელჩოს წევრნი სასახლის ცხრა ეტლით წავიდნენ ილდიზ-კიოსკში. დიდი მთავარი და მარშალი შაქირ-ფაშა ერთად მიდიოდნენ სასახლის ეტლით, რომელშიაც ოთხი ცხენიება, თან ახლდათ გვარდიის ესკადრონი. ილდიზ-კიოსკში რომ მივიდნენ, სამხედრო წესის მიხედვით პატივისცემით დაუხვდნენ. დიდ მთავარს მიეგებნენ სულთანი და რამდენიმე მინისტრი. მისმა უმაღლესობამ გადასცა სულთანს ხელმწიფე იმპერატორის საჩუქარი, ოთხი მშვენიერი ტაიჭი.

ეკკლესიის კურთხევას დაესწრებიან აგრეთვე რუმინიის ელჩი ჯუვარი და იერუსალიმის პატრიარქად ყოფილი ნიკოდიმი.

მისის უმაღლესობის წყალობით სან-სტეფანოში გაგზავნილია სასახლის სამი ეტლი.

**სტამბოლი.** ხონთქართან დარბაზობის შემდეგ მერასიმის კიოსკში დიდმა მთავარმა მიიღო ხონთქარი და $3^1/_2$ საათზე დაბრუნდა პერას საელჩოში, სადაც ბინა აქვს მის იმპერატორებითს უმაღლესობას.

4 საათზე გალატარიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი დახოცილ ჯარის-კაცთა მოსახსენებლად, პანაშვიდს დაესწრნენ დეპუტაციები და საელჩოების წევრები.

ხვალ, დილის 9 საათზე, აკურთხებენ ეკლესია-ძეგლს და ნაშუადღევს დიდი მთავარი ინახულებს საელჩოში რუსეთის მოხელეებს და ახალშენელებს. ორშაბათს დიდი სადილი იქნება გამართული ილდიზ-კიოსკში.

ხონთქარმა უბოძა დიდს მთავარს იმტიაზის ორდენი ბრილიანტით შემკული და მისის იმპერატორებითის უმაღლესობის ამალას სხვა და სხვა ორდენი.

**სტამბოლი.** ყველანი, ვინც უნდა დასწრებოდნენ პანაშვიდს, საგანგებო მატარებლით წავიდნენ სან-სტეფანოს და იქიდან სასახლის ეტლებით—გალატარიას.

4 საათზე დაიწყო პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ სამ[...] დეპუტაციები, საელჩოს რამდენ[...]მე წევრი, ბ-ნნი ნოვაკოვიჩი, ბაკიჩი და მარკოვი დეპუტაციებით ბოლგარიის საერო კრებისაგან და ექსარხოსი. საელჩოს არქიმანდრიტმა ბორისმა აკურთხა ყველა აკლდამა, რომლებშიაც დაკრძალულია 12,000 მიცვალებულის მეომრის გვამი, მოკრებილი ფრაკიახა და რუმელიის სხვა და სხვა ადგილას. მამა ბორისმა სიტყვა წარმოსთქვა. პანაშვიდი 6 საათზე დას[...]რულდა.

სამხედრო დეპუტაციების ყვე[...]ლა წევრს ებოძათ ოსმალური ორ[...]დენები.

7 დეკემბერი.

**სტამბოლი.** რამდენსამე დღის განმავლობაში გამუდმებულ წვიმების შემდეგ დღეს ჩინებული დარი დადგა. დიდი მთავარი და სხვანი საგანგებო მატარებლით წავიდნენ სან-სტეფანოს და იქიდან ეტლებით—გალატარიას. ძეგლი გაშლილ ადგილზედა სდგას, ჯვარი 32 ადლის სიმაღლეზეა და მშვენიერ სანახავს წარმოადგენს. მობრძანდა თუ არა დიდი მთავარ[...] ძეგლი აკურთხეს და შემდეგ გ[...] დახდილ იქმნა წირვა და პარა[...]ლისი. დიდის მთავრისა, მასმალის შაქირ-ფაშასი და გენერალ ახმეთა-ფაშის გარდა, დღესასწაულს დაესწრნენ: რუსეთის ელჩი, სამხედრო დეპუტაციები, გემების მოსამსახურენი, პატრიარქის დელ[...]გატები, დერკოსის მიტროპოლი[...]ტი, რომლის ეპარქიაშიაც ითვ[...]ლება ეკლესია-ძეგლი, დიდი ვი[...]კარი, ერუსალიმის პატრიარქად ნამყოფი, ბულგარიის ექსარხოსი, მავროკორდატო, ჯუვანი, ნოვა[...]კოვიჩი უფროსით მდივნითა [...] სამხედრო აგენტით, ბაკიჩი, მარ[...]კოვი და დეპუტაცია ბულგარიის საერო კრებისა წირვის შემდეგ გაიმართა საუზმე. დამსწრენი აღტაცებულნი იყვნენ ეკკლესია—ძეგლით, რომელიც სრულად რუსეთის გემოვნებაზე არის აგებული. დიდმა მთავარმა და სხვებმა ამ გარემოებისა გამო მიულოცეს პოლკოვნიკს პეშკოვს. საღამოთი საელჩოში, დიდი მთავრის პატივსაცემლად გაიმართება დიდი ს[...]დილი, რომელსაც დაესწრებიან დეპუტაცია და უნტერ-ოფიცრები.


## განცხადებანი

დაიბეჭდა 1899 წლის

ქართული

**კედლის კალენდარი**

შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ

ისყიდება ყველგან ქართულ წიგნებით მოვაჭრეებთან.

ფასი ყველგან 40 კაპ.

უმთავრესი საწყობი: Тифлисъ. Писчебумажный магазинъ С. М. Лазаревой.

(5—4)